სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/192

ქ. თბილისი 30 ოქტომბერი 2020წ.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლებზეც სწავლის საფასურს სრულად დააფინანსებს სახელმწიფო

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 აგვისტოს N91/ნ ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, „2020 - 2021 სასწავლო წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის მინისტრის2020 წლის 11 აგვისტოს №91/ნბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020წლის 14 აგვისტოს №01-05-04/132 დადგენილების, სწავლების დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ოქტომბრის №01-05-02/30 ოქმის საფუძველზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 აგვისტოს №91/ნ ბრძანებით დამტკიცებული თანხის ფარგლებში იმ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ადგილების რაოდენობა, რომელსაც სახელმწიფო სრულად აფინანსებს:

საბაკალავრო პროგრამა	ადგილების რაოდენობა
მშენებლობა	300
ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია	310

საბაკალავრო პროგრამა	ადგილების რაოდენობა
გეოლოგია	50
სამთო და გეოინჟინერია	60
საინჟინრო გეოდეზია	30
საინჟინრო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვა	50
გეოინფორმატიკა	15
ქიმია	25
მეტალურგია	10
მასალათმცოდნეობა	20
სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია	20
მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია	30
არქიტექტურა	220
მათემატიკა	36
საინჟინრო ფიზიკა	35
ბიოსამედიცინო ინჟინერია	55
მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ ინჟინერინგი	40
აგრარული ტექნოლოგიები	80
მევენახეობა და ენოლოგია	115
აგრონომია	79
სასურსათო ტექნოლოგია	145
მეცხოველეობა	30
ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია	10
აგროინჟინერია	20
სატყეო საქმე	45

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — ი. კუტუბიძე